

პატივცემულო კოლეგებო!

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სიღვინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი და კასპის მუნიციპალიტეტის მერია

2018 წლის 8 – 11 ოქტომბერს ატარებენ მე-4 სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციას

”სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია”

კონფერენციის სამუშაო თემები:

- ტრანსპორტის მდგომარეობა, პრობლემები და განვითარების ტენდენციები;
- ერგონომიკა და ეკოლოგიის საკითხები ტრანსპორტზე;
- სატრანსპორტო ლოგისტიკა, ტრანსპორტის მენეჯმენტი და ეკონომიკა;
- სატრანსპორტო გადაზიდვები;
- კვების პროდუქტების ცივად შენახვა და ტრანსპორტირება;
- სატრანსპორტო საშუალებების წარმოება, ტექნოლოგიები;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა;
- საინფორმაციო სისტემები და ტექნოლოგიები ტრანსპორტზე;
- სატრანსპორტო საშუალებების დიაგნოსტიკა, ტექნიკური მდგომარეობა და სერვისი;
- მასალათმცოდნეობა, ანტიფრიქციული, საკონსტრუქციო და საექსპლუატაციო მასალები;
- ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემები;
- სატრანსპორტო კანონმდებლობა და საბაჟო საქმე;
- საგანმანათლებლო პოლიტიკა ტრანსპორტზე.

მნიშვნელოვანი თარიღები:

- რეგისტრაცია და თეზისების მიღება 20 ივლისი, 2018 წ.;
- თეზისების მიღების დასტურის შეტყობინება 15 აგვისტო, 2018 წ.;
- ნაშრომის გაგზავნა 5 სექტემბერი, 2018 წ.;
- კონფერენციაში მონაწილეობის საფასურის გადახდა 20 სექტემბერი, 2018 წ.;
- კონფერენციის ჩატარების ადგილი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №68;
- კონფერენციის ჩატარების დრო: 8-11 ოქტომბერი, 2018 წელი;
- კონფერენციის სამუშაო ენა: ქართული, პოლონური, ინგლისური, რუსული.

კონფერენციაში მონაწილეობს გადაეცემათ სერთიფიკატი და შრომების კრებული.

ნაშრომის ავტორებს გადაეცემათ კონფერენციის შრომების კრებული.

რეგისტრაცია: გამოგზავნეთ სარეგისტრაციო ბარათი ელექტრონულ მისამართზე: europa-asia@gtu.ge

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის საფასური: კონფერენციაში მონაწილეობის საფასური შეადგენს 350 ევროს. თანხლები პირებისათვის შენატანი შეადგენს 200 ევროს. შენატანი ფარავს შემდეგ ხარჯებს: კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა; სამვარსკვლავიანი სასტუმრო სამჯერადი კვებით; კონფერენციის მასალების პუბლიკაცია (შრომების კრებული, მუშაობისათვის საჭირო ნივთები და ა.შ.); ექსკურსიები წინასწარ განსაზღვრული მარშრუტებით და ბანკეტი.

საქართველოდან მომხსენებლების შეზღუდულ რაოდენობას, მათ შორის, სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ შეღავათიანი საფასურით - 150 ლარის ოდენობით. მომხსენებლები ისარგებლებენ შეღავათებით.

სარეგისტრაციო ბარათი და მოკლე ანოტაციის ელექტრონული ვერსია იგზავნება წინასწარ ელექტრონული ფოსტით. სტატიის გაგზავნის შემდეგ ავტორი ღებულობს შეტყობინებას სტატიის მიღების შესახებ. შემდეგ, ავტორი აგზავნის საორგანიზაციო შენატანის ქვითრის ასლს (pdf-ფორმატში).

სტატიები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, არ განიხილება.

საკონტაქტო პირები:

გიორგი თუმანიშვილი - მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი, მობ: 597 002 073;

ნათია ბუთხუზი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მობ: 593 263 112.

europa-asia@gtu.ge

კონფერენციის შესახებ სრული ინფორმაცია, სარეგისტრაციო ბარათის ფორმა, მოთხოვნები სტატიის გაფორმებისათვის, საბანკო რეკვიზიტები და ა. შ. განთავსებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.gtu.ge

(<http://gtu.ge/Science/Conference/>)